

**სამოქალაქო ბიუჯეტი სიღნაღში**  
**საპროექტო ინიციატივების შერჩევა კონსესუსის წესით**

დოკუმენტაცია:

- 1) სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება სიღნაღის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ;
- 2) სიღნაღის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს მუშაობის წესის (რეგულაციები) დამტკიცების შესახებ;
- 3) სიღნაღის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს მუშაობის წესი (რეგულაციები);
- 4) სააპლიკაციო ფორმა.



## სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება N 529

ქ. სიღნაღი

11/06/2019

### სიღნაღის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 85-ე მუხლის მე-5 პუნქტების, „სიღნაღის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს მუშაობის წესის (რეგულაციები)“ მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას სიღნაღის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო.
2. სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:
  - საბჭოს თავმჯდომარე - მადონა ბატიაშვილი, მერის პირველი მოადგილე;

საბჭოს წევრები:

- მაღხაზ სიფრაშვილი, მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
  - თამთა ზაქარიაშვილი, მერის თანამშემწე;
    - თინათინ ოზბეთელაშვილი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;
    - მარიამ ცაბუტაშვილი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
    - ნინო ვარდიაშვილი, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების საკითხებში;
    - ვასილ უსუფაშვილი, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
    - თამარ აბულაშვილი, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საფინანსო - საბიუჯეტო საკითხებში;
    - ხათუნა აღამონაშვილი, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი;
- მანანა ნასყიდაშვილი, მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი;
  - ია პაპუაშვილი, მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;
- გიგა შუშტაკაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის ტურიზმის, საგარეო ურთიერთობისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების უფროსი;
- სერგო ღვინიაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;
  - ქეთევან მოლაშვილი, ა(ა)იპ „სამოქალაქო ინიციატივის - Civil Initiative“ წარმომადგენელი;
- ნინო გოგინაშვილი, ა(ა)იპ „სათემო საზოგადოება ნუკრიანის“ წარმომადგენელი;
  - გიორგი ნაცვლიშვილი, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

3. დაევალოს მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გადაცემის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირებისათვის მისი გადაცემიდან (გაცნობიდან) 01 თვის ვადაში სიღნაღის რაიონულ სასამართლოში სარჩელის წარდგენის მეშვეობით (მის. ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ. #15);
5. ბრძანება ამოქმედდეს სათანადო წესით გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი გოგილაშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია





## სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება N 530

ქ. სიღნაღი

11/06/2019

### სიღნაღის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს მუშაობის წესის (რეგულაციები) დამტკიცების შესახებ


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ და „ე-ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 85-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს მუშაობის წესი დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს სააპლიკაციო ფორმა დანართი N2-ის შესაბამისად.
3. დაევალოს მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გადაცემის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირებისათვის მისი გადაცემიდან (გაცნობიდან) 01 თვის ვადაში სიღნაღის რაიონულ სასამართლოში სარჩელის წარდგენის მეშვეობით (მის. ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ. #15);
5. ბრძანება ამოქმედდეს სათანადო წესით გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი გოგილაშვილი



მუნიციპალიტეტის მერი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია



დანართი N1

დამტკიცებულია

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის

2019 წლის --- -----

N----- ბრძანებით

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი

-----  
გიორგი გოგილაშვილი

**სიღნაღის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს  
მუშაობის წესი (რეგულაციები)**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. სიღნაღის მუნიციპალიტეტი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 85-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად უფლებამოსილია, მოქალაქეთა მონაწილეობის ამ კანონით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

2. „სამოქალაქო ბიუჯეტი“ დემოკრატიის ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია - საზოგადოების ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო სფეროა თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის ფორმირება და მისი მეშვეობით სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიმართულებების განსაზღვრა.

3. „სამოქალაქო ბიუჯეტი“ არის პროცესი, რომელიც საზოგადოებას საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში. თავად გადაწყვიტონ, თუ რაში დაიხარჯება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები.

4. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის.

5. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული ფულადი სახსრები საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს თავად დაგეგმონ და განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები, ასევე თვალყური ადევნონ მათ განვითარებას.

## **მუხლი 2. სამოქალაქო ბიუჯეტისთვის თანხის გამოყოფა, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ზონებად დაყოფა და თანხის განაწილება**

1. პროცესის განსახორციელებლად სიღნაღის მუნიციპალიტეტი იყოფა სამ ზონად:

**პირველი ზონა:** ქ. სიღნაღი, სოფელი ნუკრიანი, სოფელი მალარო, სოფელი ბოდბე და სოფელი ილიაწმინდა;

**მეორე ზონა:** ქ. წნორი, სოფელი საქობო, სოფელი ვაქირი და სოფელი ანაგა;

**მესამე ზონა:** სოფელი ბოდბისხვი, სოფელი ჯუგაანი, სოფელი ტიბაანი, სოფელი ბველი ანაგა და სოფელი ქვემო მაჩხაანი.

2. 2020 წელს „სამოქალაქო ბიუჯეტის“ პროექტის განხორციელებისთვის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი საერთო თანხა შეადგენს 500000 ლარს.

3. თითოეულ ზონას თანხა გადაუნაწილდება შემდეგნაირად: პირველი ზონა 166666 ლარი, მეორე ზონა 166666 ლარი, მესამე ზონა 166666 ლარი.

4. თითოეულ ზონაზე გამოყოფილი თანხა შეიძლება განისაზღვროს ერთი პროექტისათვის ან შეიზღუდოს ერთი მოქალაქის მიერ წარმოდგენილი პროექტების რაოდენობა. განსაზღვრული თანხის ფარგლებში შეიძლება დაფინანსდეს როგორც ერთი მსხვილი პროექტი, ასევე რამდენიმე მცირე პროექტი.

## **მუხლი 3. სიღნაღის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნის წესი**

1. სიღნაღის მუნიციპალიტეტში „სამოქალაქო ბიუჯეტის“ კოორდინაციის უზრუნველსაყოფად სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით იქმნება „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“ (შემდგომში „საბჭო“).



2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

ა) საბჭოს თავმჯდომარე - მერის პირველი მოადგილე;

ბ) მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

გ) მერის თანაშემწე;

დ) მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;

ე) მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ვ) მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების საკითხებში;

ზ) მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

თ) სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საფინანსო - საბიუჯეტო საკითხებში;

ი) მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი;

კ) მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი;

ლ) მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;

მ) მერიის ეკონომიკის სამსახურის ტურიზმის, საგარეო ურთიერთობისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების უფროსი;

ნ) მერიის ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;

ო) ა(ა)იპ „სამოქალაქო ინიციატივის - Civil Initiative“ წარმომადგენელი;

პ) ა(ა)იპ „სათემო საზოგადოება ნუკრიანის“ წარმომადგენელი;

ჟ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

3. საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/2-ი.

4. საბჭოს მდივანს საბჭოს წევრთაგან ირჩევს საბჭო ხმათა უბრალო უმრავლესობით.

#### **მუხლი 4. საბჭოს მიზნები და ამოცანები**

1. საბჭოს მიზანია: სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას მიღებული იქნას სამოქალაქო ინიციატივები, არსებული საჭიროებების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებრივი ინტერესები და მიეცეს მოქალაქეებს შესაძლებლობა თავად შეიმუშაონ და წარმოადგინონ კონკრეტულ დასახლებაში არსებული პრიორიტეტი.
2. საბჭოს ამოცანაა: დახმარების გაწევა სამოქალაქო ბიუჯეტის ეტაპების განხორციელებაში, მონაწილეობის მიღება საინფორმაციო კამპანიაში, პროექტების შემოწმებაში (ვერიფიკაცია), მთელი პროცესის მონიტორინგი.

#### **მუხლი 5 . კოორდინატორი**

1. „სამოქალაქო ბიუჯეტის“ კოორდინაციის და მოსახლეობის ინფორმირების უზრუნველსაყოფად თითოეულ ზონაში დაინიშნება კოორდინატორი, რომელიც მერის წარმომადგენლებთან (შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში) და მუნიციპალიტეტთან ერთად კოორდინირებულად განახორციელებს საქმიანობას პროგრამის ფარგლებში.
2. კოორდინატორობის კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, მუნიციპალიტეტში მცხოვრები პირი, იყოს მოტივირებული და კომუნიკაბელური.
3. კოორდინატორობის მსურველებმა სიღნაღის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინონ განცხადება და პირადობის მოწმობის ასლი, ან გამოგზავნონ ელექტრონულად შემდეგ ელ. ფოსტაზე: [samoqalaqobiujeti@gmail.com](mailto:samoqalaqobiujeti@gmail.com).
4. კოორდინატორები შეირჩევიან საბჭოს მიერ.
5. კოორდინატორის ძირითადი მოვალეობაა:
  - ა) პროექტის ფარგლებში საინფორმაციო კამპანიის ხელშეწყობა;
  - ბ) მოქალაქეების დახმარება განაცხადის შევსებაში და პროექტების დაწერაში;
  - გ) საჯარო შეხვედრების მოწყობა;
  - დ) პროექტების შერჩევის (კონსესუსი) პროცედურის განხორციელების ტექნიკური მხარდაჭერა.

#### **მუხლი 6. სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესში მონაწილეობის მირების უფლება**

1. „სამოქალაქო ბიუჯეტის“ პროექტში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს (ასევე არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან მშობლის თანხმობის შემთხვევაში), რომელიც რეგისტრირებულია და ფაქტობრივად ცხოვრობს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

2. მოქალაქეებს შეუძლიათ წარმოადგინონ ისეთი პროექტები, რომელთა განხორციელება:

ა) შედის მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში;

ბ) არ აღემატება სამოქალაქო ბიუჯეტისთვის გამოყოფილ თანხას;

გ) ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობას;

## მუხლი 7. სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების ეტაპები

1. ბიუჯეტის განხორციელება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) საინფორმაციო კამპანია, რომელიც ხორციელდება მთელი პროცესის განმავლობაში; პროცესის ყველა ეტაპზე მოხდება მოსახლეობასთან შეხვედრები, რომელსაც უზრუნველყოფს საბჭო, მერის წარმომადგენლებთან, საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან და კოორდინატორებთან ერთად. მოსახლეობას მიეწოდებათ ინფორმაცია პროექტის მიმდინარე ეტაპების შესახებ (2019 წლის 16 ივნისი - 09 ივლისი);

ბ) კოორდინატორების დანიშვნა. კოორდინატორების შერჩევას ახდენს საბჭო წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისად (2019 წლის 15 ივნისი).

გ) მოსახლეობის მიერ პრობლემების გამოვლენა და პრიორიტეტების განსაზღვრა ყოველი მომდევნო წლისათვის (2019 წლის 16 ივნისი - 06 ივლისი);

დ) პროექტების შემუშავება და წარდგენა; პროექტების წარდგენის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს (ასევე არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან მშობლის თანხმობის შემთხვევაში), რომელიც რეგისტრირებულია და ფაქტობრივად ცხოვრობს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. პროექტი წარდგენილი უნდა იყოს წერილობით ან ელექტრონული ფორმით სპეციალური სააპლიკაციო ფორმის მეშვეობით და ხელმოწერილი ავტორის და პროექტის არანაკლებ 10 მხარდამჭერის მიერ. პროექტი უნდა მოიცავდეს: პროექტის არსს, მიღების მიზანს და დასაბუთებას, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების ალტერნატიულ გზებს, ფინანსურ ხარჯებს, პროექტის განხორციელების ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს. მოქალაქე შევსებულ ფორმას წერილობითი ფორმით აგზავნის მუნიციპალიტეტის მერიაში შემდეგ მისამართზე: ქ. სიღნაღი, დავით აღმაშენებლის მ.2, ან ელექტრონული გზით შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: [samoqalabiujeti@gmail.com](mailto:samoqalabiujeti@gmail.com). წარმოდგენილი პროექტების სია განთავსდება სიღნაღის მუნიციპალიტეტის facebook-ის გვერდზე, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე [signage.gov.ge](http://signage.gov.ge), გაზეთ „სიღნაღში“ და გამოქვეყნდება ასევე პროაქტიულად.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში პროექტების წარდგენის პერიოდია 2019 წლის 06 ივლისი - 31 ივლისის ჩათვლით);

ე) წარმოდგენილი პროექტების ვერიფიკაცია საბჭოს მიერ (2019 წლის 01 აგვისტო 25 აგვისტო); ყველა წარდგენილი განაცხადი ვერიფიცირდება საბჭოს მიერ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ტექნიკური ასპექტები (რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება);
- სამართლებრივი ასპექტები (უფლებამოსილია თუ არა მუნიციპალიტეტი განახორციელოს წარმოდგენილი პროექტი);
- ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი პროექტის სავარაუდო ღირებულება);
- პროექტის განხორციელების ვადები.

თუ საპროექტო ინიციატივა არ აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, საბჭო უფლებამოსილია გამოავლინოს ხარვეზები და კოორდინატორის მეშვეობით პროექტის ავტორს მისცეს ხარვეზის გამოსასწორებლად 5 კალენდარული დღე. მათი გამოუსწორებლობის შემთხვევაში, განაცხადი უარყოფითად იქნება შეფასებული.

ვ) შემოწმებული პროექტების სიის გამოქვეყნება 2019 წლის 30 აგვისტომდე. ვერიფიცირებული პროექტების სია უნდა გამოქვეყნდეს 5 დღის ვადაში. სია უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: პროექტის დასახელებას, მოკლე აღწერას, ბიუჯეტს, ავტორ(ებ)ს, პროექტის ლოკალიზაციას, განხორციელების ვადებს (სასურველია ფოტოც).

ზ) კონსესუსის გზით პროექტების არჩევა; მოქალაქეები განსახორციელებელ პროექტებს კონსესუსის გზით ირჩევენ ყველა იმ პროექტებს შორის, რომლებმაც გაიარეს ვერიფიკაცია. პროექტების ავტორებმა თავად უნდა გაუწიონ რეკლამა საკუთარ პროექტებს. შეხვედრის ორგანიზებას განსაზღვრავს თავად საბჭო 7 დღით ადრე. შერჩევა ხორციელდება კონსესუსით, საჯარო შეხვედრების მეშვეობით ზონების შესაბამისად. კონსესუსის მისაღწევად დაშვებულია სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბიუჯეტის პრინციპებსა და სტანდარტებს. შერჩევის ეტაპის დასრულების საბოლოო ვადაა 2019 წლის 09 სექტემბერი.

თ) განსახორციელებელი პროექტების სიის გამოქვეყნება; კონსესუსის შედეგად გამორჩეული პროექტების სია საჯაროდ გამოქვეყნდება 2019 წლის 15 სექტემბრამდე.

ი) მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგს ახორციელებს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო, მერიის შიდა აუდიტის სამსახური და სხვა დაინტერესებული პირი (ფიზიკური თუ იურიდიული პირი). აღნიშნული პირები ახდენენ სამოქალაქო ბიუჯეტის ეფექტურობის შეფასებას, რაც ითვალისწინებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენებას, ანალიზს და კონტროლს. ეფექტურობის შეფასება ხორციელდება შედეგობრივი მაჩვენებლის ანალიზის საფუძველზე, ასევე სხვა ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც შეიცავს საბიუჯეტო მოთხოვნები, ხარჯთაღრიცხვები და ხარჯთაღრიცხვების შესახებ ანგარიში. აღნიშნული ანგარიში გამოქვეყნდება საჯაროდ.

კ) შერჩეული პროექტების მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურისთვის გადაცემა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ასახვა 2019 წლის 15 სექტემბრიდან.

დანართი N2სააპლიკაციო ფორმა

დამტკიცებულია

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის  
2019 წლის ----- ივნისის N----- ბრძანებით

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი

-----

გიორგი გოგილაშვილი



**პროექტი განხორციელდება სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში**

**სიღნაღის მუნიციპალიტეტი**

განაცხადის ნომერი -----

პროექტის წარმდგენი პირის პერსონალური ინფორმაცია:

სახელი


გვარი

პ.ნ.

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

**საინიციატივო პროექტის დასახელება**

საინიციატივო პროექტის აღწერა - აღწერეთ, როგორი პროექტის განხორციელება გასურთ.



პროექტის ბენეფიციარების დაახლოებითი რაოდენობა და კატეგორია (რა ასაკის ადამიანებისთვის არის გათვლილი პროექტი და რამდენი ადამიანი მიიღებს სარგებელს).

